

## მარინი ჯაში

## უკირობის მოვლენა თანამედროვე გერმანულში

ზმნის პირის კატეგორიასთან მჭიდროდაა დაკავშირებული უპირობის ფარებორია. „პირიანობისა და უპირობის მოვლენები ურთიერთსაწინააღმდეგო და ამავე დროს თანაფარდი კატეგორიებია. უპირობის გრამტიკული კატეგორია ჩვეულებრივ განიხილება, როგორც პირის კატეგორიის ოპოზიცია. იგი წარმოადგენს „პერსონალობის“ ერთ-ერთ სახესხვაობას“ [1, 12].

უპირობის მოვლენა დიდი ხანია უკვე მრავალი ენათმეცნიერის, ლოგიკოსის, ფილოსოფოსისა და ფსიქოლოგის კვლევის საგანს წარმოადგენს და დღესაც არ კარგავს თავის ძეტუალობას.

უპირობის მნიშვნელობა თავის გამოხატულებას პოვებს უპირობის კონსტრუქციებში. უპირობი კი მიიჩნევენ ისეთ კონსტრუქციებს, რომელთა პრედიკატიც იხმარება მხოლობითი რიცხვის მე-3 პირის ფორმით და არ გააჩნია სუბიექტი.

თუკი პირიანი ფორმა მიუთითებს, რომ მოქმედების სუბიექტი არის ერთ-ერთი პირი (I, II ან III), ანდა პირთა განუსაზღვრელი რაოდენობა, ე. ი. — გარკვეული სუბიექტის არსებობას, უპირობი ფორმა, მისგან განსხვავებით, მიუთითებს, რომ პირი, სუბიექტი საერთოდ არ არის, ის რედუცირებულია. პირიან ზმნაში მოცემულია ან მოქმედება ან მდგომარეობა, უპირობი კა ზმნაშივეა მოცემული მოქმედებაც და მოქმედიც.

„პირიანი ფორმა უფრო ღრმად და ძლიერად აღიქმება, ვიდრე უპირობორმა და უპირობი ფორმასთან იგულისხმება რაღაც განუსაზღვრელი მესამე, რომელიც ზემოქმედებს სუბიექტზე“ [2, 38].

ასხვავებენ უპირობას მორფოლოგიურ და სინტაქსურ დონეზე. ეს უკანასკნელი უფრო პროდუქტიულია, რადგან უპირობი მნიშვნელობას გამოისაცემად იყენებენ პირიან ზმნებსაც (ზოგჯერ მათი ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობის ცვლილების ხარჯზე). მორფოლოგიურ უპირობაში იგულისხმება აგენსის უკუგდების ფორმალური მაჩვენებლის არსებობა ზმნა-სიტყვის მორფოლოგიური ერთეულის ფარგლებში. მორფოლოგიურ დონეზე პირის გრამტიკული კატეგორია ნეიტრალურებულია უპირობი ზმნებთან, რადგან მხოლობითი რიცხვის მე-3 პირს არ გააჩნია ოპოზიციის წევრები, რის გამოც აღნიშნული ფორმა კარგავს თავის მნიშვნელობას და წარმოვიდგება წმინდა სტრუქტურულ მოვლენად. ზმნის უპირობა კა უშუალოდ არის დაკავშირებული მის გამოყენებასთან მეტყველებაში — ძეტუალიზაციასთან. იგი ვლინდება უფრო მსხვილ ენობრივ, სამეტყველო ერთეულთა სისტემაში, როგორიცაა კონსტრუქცია-წინადადებები, რომლებიც უკვე სცილდებიან მორფოლოგიის ფარგლებს და განიხილებიან სინტაქსურ დონეზე, საღაც უკავშირდებიან უსუბიექტო წინადადების ცნებას. უპირობი წინადადების ცენტრალურ მაორგანიზებელ ღერძს წარმოადგენს შემასმენელი, რომელთანაც კავშირშია წინადადების სხვადასხვა შეორეხარისხოვანი წევრები.

ს. კაცნელსონი თანმიმდევრულად გამოყოფს უპირობის ორ ტიპს: სემანტიკურსა და ფორმალურს. სემანტიკური უპირობა განპირობებულია ზმნასთან პირიანი ფორმების არსებობის შეუძლებლობით, მაგალითად: ქართულშა — წვიმს, რუსულში — моросит, გერმანულში — es regnet. ასეთ წანადადებებში

სუბიექტი მართლაც ყლია, რამდენადაც მათში არა გვაქვს არსებითი სახელი, რომელსაც შეეძლო შეესრულებინა სუბიექტის ფუნქცია. ამიტომ სემანტიკულად უპირო წინადადებებს „მყარ იმპერსონალებს“ უწოდებენ. ფორმალურა უპირობის კი განპირობებულია სრული პარადიგმის მქონე ზმნების უპირო ხმა-რებით. მაგალითად *ihr friert* — „მას (სიგრილე) აციებს“. ფორმალურ უპირო წინადადებებში გვაქვს პირის ნაცვალსახელები ირიბ ბრუნვაში.

სემანტიკურად უპირო წინადადებები აღნიშნავენ ერთიან მოვლენებს ან სიტუაციებს და შეიძლება იყვნენ როგორც ორწევრიანი, ისე ერთწევრიანი: *es regnet* — „წვიმს“. გერმანულ ენაში ანალოგიური სემანტიკის მქონე უპირო წინადადებები ყოველთვის ორწევრიანია, ფორმალურ ელემენტად გვევლინება არა ზმნა, არამედ ქვემდებარე *es: es donnert, es blitzt, es schneit* და ა. შ.

სემანტიკურად უპირო წინადადებებს ხშირად ადარებენ და შეცყავთ ნომინაციური წინადადების მოდელში, მაგალითად: *Stille* — „სიჩუმე“. აქ ცენტრალური სიტყვის სინტაქსურ მნიშვნელობას მიიჩნევენ უპირო წინადადების — *es ist still* — „სიჩუმეა“ — შემასმენლის მნიშვნელობის ანალოგიურად, ამიტომ „უპირო წინადადებები შეიძლება დუბლირებულ იქნან შესაბამის ნომინაციურ სტრუქტურებში“ [3, 45].

როგორც აღნიშნავს ს. კაცნელსონი, ნულოვანი ვალენტობის მქონე ენობრივი პრედიკატები ასახელებენ მოვლენებს დაუნაწევრებლად. ასეთი სახელდებითი პროპოზიციები შეიძლება თავისი ენობრივი ფორმით იყოს ზმნური: *es dämmert* — „ბინდდება“, ან ზმნიზედური: *es ist dämmerig* — „ბინდია, ბინდი დგას“, ან სახელადი: *Dämmerung* — „ბინდი“. ყოველ ასეთ შემთხვევაში ენობრივი ფორმის მიღმა იმაღება გლობალური პროპოზიცია, რომელიც არ ანაწევრებს მოვლენას [4, 107].

ფორმალურად უპირო წინადადებები აღნიშნავენ ადამიანის სულიერ ან ფიზიკურ მდგომარეობას, მაგ., *es ist mir angst* (*mir ist angst*), *es dürstet mich* (*mich dürstet*) — „მეშინაა“, „მწყურია“, და ა. შ.

გერმანულ ენაში ისინი ხშირად პირიანი სტრუქტურების თანაფარდი არიან: *Ich habe Angst. Ich habe Durst.* აქ შეიძლება ვილაპარაკოთ გაუპიროვნების თავისებური ტრანსფორმაციის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია მნიშვნელობის განსაზღვრული ელფერის გაღმოცემასთან. ეს იმას ნიშნავს, რომ უპირო წინადადებაში ბრუნვის პოზიციური ნიშნადობის ძრა იწვევს შესამჩნევ ძერას ზმნის სემანტიკურ შინაარსშიც. „უპირო კონსტრუქცია გამოხატავს სპონტანურ მოქმედებას, რომელიც ადამიანის ნება-სურვილის გარეშე ხდება, ხოლო პირიან კონსტრუქციაში ხაზგასმულია განცდილი შეგრძნების მუდმივობა და მისი ინტენსივობა“ [5, 114].

როგორც გერმანულ, ისე ქართულ ენებში უპირო წინადადების სამი ძირითადი სემანტიკური ჯგუფი გამოიყოფა: 1. ბუნების მოვლენების აღმინშვნელი უპირო წინადადებები (მყარი იმპერსონალები): *es schneit, es regnet, es donnert, es blitzt*, — „თოვს“, „წვიმს“, „ჭრს“, „ელავს“ და ა. შ.; *es ist warm, es wird warm* — „თბილა“, „დათბება“ და ა. შ. 2. ადამიანის ორგანიზმი მიმღინარე ფიზიოლოგიური პროცესების გამომხატველი უპირო წინადადებები: *es friert mich, es hungert mich, es fröstelt mich* — „ზცია“, „შშია“, „მოტროთოლებს“, 3. ადამიანის უნებლივ მისწარაფებანი: *es weint (in mir) es lacht (in mir)* — „მეტირება“, „მეცრება“ და ა. შ.

გარესამყაროს აღქმით გამოწვეული შთაბეჭდილებისა და ცაცხალ ბუნებაში მიმღინარე ცვლილებების გამოხატვა ქართულში არ ხდება უპირო ზმნებით. აქ მიმართავენ განუსაზღვრელ პირიან ზმნას ან ნაცვალსახელებს „ვი-

ლაც“, „რაღაც“, „ყველაფერი“. მაგალითად: es klopft — „ვიღაც, რაღაც აქაუნ-ნებს, აკაკუნებენ“ es zieht mich (nach)—„სული (გული) მეწევა, მიხმობს (ვინ-მესკენ, რაიმესაკენ)“, es grünt, es blüht — „ყველაფერი ყვაის“.

რაც შეეხება უპირო წინადაღების სტრუქტურას, გერმანულში ორი ძირითადი ჯგუფი შეინიშნება: ზმნური და სახელადშემამენელიანი (პრედიკატივად გამოდის არსებითი ან ზედასართვე სახელი): se regnet, es ist warm, es ist Tag.

თანამედროვე ქართულში პირნაკლ კონსტრუქციებში მხოლოდ ზმნური შემამენელია, თუმცა რამდენიმე ზმნას ისტორიულად შედგნილი შემამენელი შეესბამებოდა, მაგ, ცივა — ცივ (არს), ცხელა — ცხელ (არს). უპირო, ან პირნაკლი, ზმნები შეიძლება იყოს ერთ-, ორ- ან სამპირიანი. რომელთაც დაკარგული აქვთ სუბიექტური ან ობიექტური პირის გაგება.

გერმანიულ ენებში, კერძოდ გერმანულში, დამკვიდრდა ისეთი უპირო ზმნები, რომლებიც აღნიშნავენ ბუნების მოვლენებს ან აღმიანის მდგომარეობას, რომელიც არაა დამოკიდებული მის ნება-სურვილზე. სწავლა ვერმანიკული ენებისაგან განსხვავებით (მაგ. ისლანდიური ენა) პრატიკულად არა გვაქვს გერმანულში ისეთი უპირო ზმნები, რომლებიც აღნიშნავენ ადამიანის აქტიურ მოქმედებას ან საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებს. ზოგ გერმანიულ ენაში (მაგ. ინგლისური) გვაქვს ბუნების მოვლენების აღმნიშვნელი უპირო ზმნები, მაგრამ არა გვაქვს ადამიანის მდგომარეობის გამომხატველი უპირო კონსტრუქციები, რითაც ასე მდიდარია გერმანული ენა. გერმანულ ენაში, აღნიშნულ კონსტრუქციებში პირიანი ზმნები უფრო მეტი გამოიყენება, ვიდრე უპირო. ადამიანის ფიზიკური მდგომარეობის აღსანიშნავად ხშირად გამოიყენება ისეთი უპირო კონსტრუქციები, რომელთა აზრობრივ ბირთვს პირიანი ზმნები შეაღვენენ: würgen, reißen, zucken es würgt mir im Halse — — „ყელში მიჰერს“, es reibt mir(mich) in allen Gliedern — „(ტანში) მიმტკრევს“ და ა. შ.

მოცემული კონსტრუქციების ობლიგატორულ წევრს წარმოადგენს ობიექტი (პირდაპირი ან ირიბი). ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობის გამოსახისადაც გვაქვს ისეთი პირიანი ზმნები, რომლებიც უპირო კონსტრუქციებში გამოხატვენ სხვადასხვა ფსიქიკურ პროცესებს; მათ პირიან კონსტრუქციებში თავისი ლექსიკური მნიშვნელობით აჩაფერი აქვთ საერთო ადამიანის სულიერ განცდებთან. ჩაგ.: treiben, ziehen, lecken. Sie treiben Steine (Ziegel). Es treibt ihn in die Heimat — „ისინი ზიდავენ ქვებს (აგურს)“ „მას გული (სული) მიუწევს სამშობლოსაკენ“.

გარდა ამისა, გერმანულ ენაში უპირო წინადაღებებს უკავშირდება აგრეთვე ე.წ. უპირო პასივი, „პასიური და უპირო კონსტრუქციები ხშირად ერთი და იმავე კომუნიკაციურ-სემანტიკური შინაარსის გამოხატვის პოზიციურ ვარიანტებად გამოდიან. ეს არის აგენსის ან მოქმედების წყაროს უკუგდება ქვემდებარის ცენტრალური პოზიციიდან“ [6, 34]. ასეთ შემთხვევებში მიქმედების მაწარმოებელი სავსებით ან უმეტესწილად იგნირირებულია. ჩამდენადაც პასივი განიხილება ორგორც ქვემდებარე-აგენსის რედუქციის საშუალება, ამდენად სემანტიკურ პლანში უპირო პასიური წინადაღებები ემთხვევა უპირო კონსტრუქციებს. უპირო პასიურ კონსტრუქციაში ერთანერთს ეჭახება პასიური ფორმა და აქტიური შინაარსი, პირიანი ზმნა ორიენტირებულია სუბიექტისაკენ, მაგრამ რედუცირებულია წინადაღებაში, ამიტომ უპირო პასიური კონსტრუქციები ადვილად განიცდიან ტრანსფორმაციას პირიან კონსტრუქციებად თან ქვემდებარით: Es wird hier oft getanzt—hier tanzt man oft.

წინადაღების უპირო გაფორმებას გარკვეული მიზანი აქვს სინტაქსურ დონეზე: მოახდინოს ყურადღების კონცენტრირება მოქმედებაზე. სწორედ ეს მიზანი უდევს საფუძვლად პირიანი ზმნების უპირო კონსტრუქციებში ხმარებას, როცა მოქმედების სუბიექტი ცნობილი არ არის, ან, ამა თუ იმ მიზეზით, არ არის დასახელებული (*die Blume duftet; es duftet im Garten* — „ყვავილი სურნელს აფრქვევს“, „ბაღში სურნელი იფრქვევა“), ან იმ შემთხვევაში, როცა უცნობია აღქმის წყარო, განსაკუთრებით ხშირია უღერადობისა და ნათების გამოხატველი ზმნების უპირო ხმარება: *es flimmt mir vor den Augen* — „თვალებთან მიციმურებს“; *es saust mir in den Ohren* — „ყურებში მიბზუს“ და ა. შ. ასეთ ზმნებს იკაზიონალურ უპირო ზმნებსაც უწოდებენ, რომელთა რიცხვი სულ უფრო მატულობს გერმანულ ენაში.

უპირო ზმნებს უკავშირდებიან გერმანულ ენაში აგრეთვე მდგრადი ზმნური შესიტყვებები, რომლებიც იხმარებიან მხოლოდ უპირო ფორმით და წინადაღებების გარეშე დამოუკიდებელი არსებობა არ შეუძლიათ, რადგანაც ირ გამოხატვენ დასრულებულ აზრს: *es gibt, es fehlt (mangelt) an, es liegt an, es handelt sich um...* და ა. შ.

წინადაღების უპირო გაფორმება ხელსაყრელია ენისათვეს, რადგანაც, თუ ზოგ შემთხვევაში უპირო კონსტრუქცია ქმნის ქვემდებარის უპირობას, მეორე შემთხვევაში ქვემდებარის რელუქცია დაკაგშირებულია კონტექსტთან, როგორც ვ. ვინოგრადოვი აღნიშვნას, „გარკვეული სიტუაცია, წინამდებარე გამონათქვამი უსუბიყესტო კონსტრუქციების ხმარების შესაძლებლობას იძლევა, მთავარი აქცენტი კეთდება თვით მოქმედებაზე. წინადაღებები, რომლებშიც პირი არ არის მოცემული ან დაფარულია, ხშირად ცვლიან სრულ პირიან წინადაღებებს, შეაქვთ რა ფრაზაში მათთვის ნიშანდობლივი აგენსას (მოქმედის) დაჩრდილების ელფერი“ [7, 368].

დეპერსონიფიკაცია გერმანულში უფრო მეტადაა გავრცელებული და ერთ-ერთ პრიდუქტიულ სტილისტურ ხერხად გვევლინება. ამ დროს მოქმედი აიდუმალებს ან ჩქმალიას სუბიექტს, რითაც ხახს უსვამს მოქმედების თავის-თავადობას, უნებლიობას ან მოქმედი პირის განუსაზღვრელობას. წინადაღების უპირო გაფორმება გერმანულ ენაში ხშირად ენის ეკონომისის მიზანსაც ემსახურება: ინფორმაცია, რომელიც მოცემულია უპირო წინადაღების ფორმით, მიუხედავად იმისა, რომ შეუუმშულია, მაინც ღრმა შინაარსის შემცველია. განსაკუთრებით კარგად შეესისხლორულია უპირო კონსტრუქცია სასუბრო მეტყველებას, რომელიც საჭიროებს ერთდროულად გამონათქვამის სამოყლესა და სილრმეს. ისინი ანიჭებენ მეტყველებას მეტ ხატოვნებას და ქმნიან გამონათქვამის სტილისტურ უფექტს: *Heute raucht's = („დღეს მძიმე დღეა“, „ვიღაცს მოხვდება“, „კარგი დღე არ დააღვება“); Bei dem qualmt's = („მას გული მოსდის, „ას ბრაზობს“); Jetzt hat es bei ihm gezündet = („როგორც იქნა შეიგნოა“); Bei ihm rappelt's im Kopfe = („მას ცოტა აკლია (თავში)“); Wie es fällt, so bullert's = („ქვევრს რასაც ჩასახებ, რმას ამოგაძებსო“) (ანდაზა).*

ამგვარი ტიპის გამონათქვამებში, როგორც წესი, პირიანი ზმნები გამოიყენება არა თავისი ძირითადი ლექსიური მნიშვნელობით, არამედ უმეტესად გაღატანითი მნიშვნელობით, რას გამოც მათი რიცხვი სულ უფრო მატულობს გერმანულ ენაში. მათი გამოყენების სფეროა ბელეტრისტიკა.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ უპირო წინადაღებები გერმანულ ენაში, ქართულისაგან განსხვავებით, ასრულებენ გარკვეულ სინტაქსურ, სემასტიკურ

და სტილისტურ ფუნქციებს. სინტაქსურად ისინი წარმოადგენენ ორწევრიან სტრუქტურებს, ზოგჯერ ფორმალური სუბიექტის es-ის წყალობით ან სხვა მეორეხარისხოვანი წევრებისა და, მიუხედავად სუბიექტის რეღუცირებისა, აზრობრივად დასრულებული კონსტრუქციები არიან. სემანტიკური თვალსაზრისით უპირო წინადადებები ახდენენ ზმის მნიშვნელობის აქტუალიზაციას, ზმის მიერ გადმოცემული მოქმედების წინა პლანზე წამოწევას. ე. ა. უურადლების ცენტრში ექცევა თვით მოქმედება, ხოლო მოქმედების სუბიექტი, ან მოქმედების გამომწვევი წყარო არ წარმოადგენს მთქმელის ინტერესის თბიერებს და, ბოლოს, უპირო წინადადებები გამოიყენება გერმანულ ენაში, როგორც პროდუქტიული და ეფექტური სტილისტური საშუალება მოქმედების სუბიექტის განზრაა მიჩქმალისა, რაღაც უცნობი, იდუმალი მოქმედი ძალის აღიარების ან მოქმედების თავისთვალ, სტიქიურად წარმოჩენის მიზნით.

#### ლიტერატურა

1. А. В. Бондарко, Грамматическая категория и контекст, Л., 1971.
2. Ц. Н. Шрайбер, Безличные предложения с глагольным сказуемым в современном немецком языке, в кн.: Вопросы синтаксиса немецкого языка, Л., 1959.
3. К. П. Акулова, Разграничение членов предложения в современном немецком языке, Л., 1971.
4. С. М. Кацнельсон, Категория субъекта и объекта и теория валентности (на материале немецкого языка), в кн.: Категория субъекта и объекта в языках различных типов, Л., 1982.
5. Е. И. Шендерельс, Грамматика немецкого языка, М., 1959.
6. Т. Б. Алисова, Семантико-коммуникативный субстрат безличных предложений, в кн.: Инвариантные синтаксические значения и структура предложения, М., 1969.
7. В. В. Виноградов, Русский язык (Грамматическое учение о слове), М., 1947.
8. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწ. II, თბ., 1960.
9. ა. კიზირია, მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1963.
10. ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1977.

М. Н. ДЖАШИ

#### ЯВЛЕНИЕ БЕЗЛИЧНОСТИ В СОВРЕМЕННОМ НЕМЕЦКОМ ЯЗЫКЕ

##### Резюме

Категория безличности тесно связана с категорией лица глагола. Явления личности и безличности являются противоположными и в то же время соотносительными категориями. Личные значения отражают соотнесенность обозначаемого действия с грамматическим субъектом, безличные же — отсутствие у обозначаемого действия такой соотнесенности. В отличие от грузинского, безличное оформление предложения является выгодным для немецкого языка: предложение имеет смысл и без полноценного подлежащего, доминирующим членом является сказуемое (иногда вместе с другими второстепенными членами предложения), внимание сконцентрировано на действии вне агенса, что создает образность речи и является эффективным стилистическим средством в языке.

თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის. უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გერმანული ენის კათედრა  
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა კ. წერეთელმა